3:0 და 0:3!

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 9 ივნისი.

"დინამო" (თბილისი) – "ჩერნომორეცი" (ოდესა) 3:3 (3:0).

"დინამო": გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, კოსტავა, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), ჩელებაძე, ყიფიანი, შენგელია (ჩივაძე).

"ჩერნომორეცი": დეგტიარევი, კაჩური, ლეშჩუკი, კუზმინი (ნაპრეევი), ლოგვინენკო (შევჩენკო), ფეიდმანი, სოკოლოვსკი, საპოჟნიკოვი, პლისკინა, პოგორელოვი, კარპიუკი.

მსაჯი: მ. ჩერდანცევი (ალმა–ათა).

დუბლიორები – 2:0. ბურთები გაიტანეს გოგოლაძემ და მუჯირმა.

მატჩის დამთავრების შემდეგ, ტრადიციულ პრესკონფერენციაზე, შეკითხვით მივმართეთ "ჩერნომორეცის" უფროს მწვრთნელს ა. ალესკეროვს: რა მიგაჩნიათ თბილისელთა უმთავრეს შეცდომად, როცა ანგარიში იყო 3:0 და გუნდმა მეტოქეს საშუალება მისცა ეხსნა ეს პრაქტიკულად უიმედოდ წაგებული მატჩი?

ა. ალესკეროვი, საერთოდ, უცერემონიო კაცია, პირდაპირობა უყვარს და სიტყვა–პასუხში ნაკლებად ხმარობს დიპლომატიური ხასიათის "სვლებს".

ჯერ ერთი, – თქვა მან. – ჩვენ ხელთ გვქონდა დინამოელების მატჩის ვიდეოჩანაწერი ბაქოს "ნეფთჩისთნ" და ორჯერ საფუძვლიანად გავაანალიზეთ იგი ჩვენს ეკრანზე. მივედით იმ დასკვნამდე, რომ "დინამოს" დაცვა არ არის მთლად უშეცდომოდ კონსტრუირებული და მცველებსა და მეკარეს შორის ხშირად იქმნება სიცარიელეები, რომელთა გამოყენება საკუთარი სარგებლისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ოღონდ, ფხიზლად უნდა გეჭიროს თვალი. ამას გარდა, "დინამოს" წამყვანმა ფეხბურთელებმა მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე ისეთი ტონი მისცეს თამაშს, თითქოს ყველაფერი საბოლოოდ მოთავებული იყო და მათს გამარჯვებას ვეღარავინ შეუშლიდა ხელს, "ჩერნომორეცის" ფეხბურთელთა თავგანწირვაც კი. ეს დიდი შეცდომაა ფეხბურთში.

იმავე კითხვაზე თბილისელთა მწვრთნელმა ს. კუტივაძემ, არსებითად, იდენტური აზრი გამოთქვა:

– მეორე ტაიმში დინამოელებმა საქმე გაკეთებულად მიიჩნიეს, დაკარგეს კონტროლი ბურთზე, დაცვის წამყვანი მოთამაშეები უსაფუძვლოდ ერთობოდნენ იერიშით, კარგავდნენ ბურთს შუა მინდორში, დროზე ვერ ასწრებდნენ უკან, არც მონდომებას იჩენდნენ.

მწვრთნელთა ეს პასუხები ერთნაირად ასახავს მომხდარი ფაქტების არსს, მაგრამ საინტერესოა ერთი ამბავი: თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთაგან არავის გაახსენდა, რომ "ჩერნომორეცმა" შარშან შემოდგომით სპეციალური პრიზი მიიღო იმისთვის, რომ უმაღლეს ლიგაში ყველაზე უკეთ ითამაშა წასაგებ ვითარებაში და შეძლო ახლაც გამოემჟღავნებინა გამარჯვებისადმი სწრაფვის ეს მეტად ძვირფასი თვისება.

ტრიბუნებზე დიდი მხიარულება სუფევდა დაწყებული იმ დროიდან, რაც მასპინძლებმა ოდესელები თითქმის მიაჯაჭვეს საკუთარ კარს, გოლის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, მერე კი მე–20, 23–ე და 35–ე წუთებზე ყიფიანმა ჯერ თამაშიდან, შემდეგ – პენალტით და ჩელებაძემ სამჯერ ზედიზედ აიღეს მოპირდაპირე კარი. "ჩერნომორეცის" დაცვა დეზორგანიზებული იყო და რიგიან წინააღმდეგობას ვერც უწევდა დინამოელებს. 3:0 ეს კიდევ იღბლად გადარჩნენ ოდესელები.

მაგრამ მეორე ტაიმში, დასაწყისშივე, ბრძოლის სურათი რადიკალურად შეიცვალა. უდარდელი მხიარულების უფლება გვქონდა მხოლოდ ჩვენ. მაყურებლებს, რომლებიც ახალ გასართობ 45 წუთს მოველოდით, მაგრამ დინამოელებს საამისო ნება ეძლევათ მხოლოდ და მხოლოდ მას მერე, რაც საფინალო სასტვენის შემდეგ გაუდგებიან გზას გასახდელისკენ, მანამდე კი თითოეული მათგანი მებრძოლი სპორტსმენია, რომელსაც უფლება არა აქვს თუნდაც მცირე ხნით მაინც მოადუნოს ყურადღება. ჩვენმა ფეხბურთელებმა ეს მარტივი ჭეშმარიტება დაივიწყეს, საშუალება მისცეს ოდესელებს "ხელი გამოეღოთ" და ამ უკანასკნელებმაც მაქსიმალურად გამოავლინეს თავიანთი ოდესური ოპტიმიზმი. 61–ე წუთზე პირველი გოლი გაქვითა ლეშჩუკმა, წუთის მერე საოცრად შეუთანხმებლად ითამაშეს ქორიძემ და გოგიამ, რაც ქორიძის "ავტოგოლით" დამთავრდა, ხოლო 78–ე წუთზე კაჩურმა შორი მანძილიდან გაგზავნა ბურთი მაღალ კუთხეში.

ჩვენ, როგორც ხედავთ, საგანგებოდ არ გამოვყავით ცალკეული დინამოელი ფეხბურთელები, თუმცა სასაყვედურო მასალა საკმარისად მოგროვდა "არარატთან" და "ჩერნომორეცთან" ჩატარებულ

მატჩებში. საფეხბურთო კოლექტივში გამარჯვებაც და დამარცხებაც თანაბრად უნდა გაიყოს გუნდის ყველა წევრმა, საყვედური 3–ქულიანი დანაკლისისთვის 4–დან ბოლო ორ მატჩში ეკუთვნის ყველას ერთად, მაგრამ იმის იმედიც გვაქვს, რომ სწორედ ყველა ჩვენი ფეხბურთელი ერთად იქნება მაქსიმალურად მობილიზებული 14 ივნისის გასვლითი მატჩისთვის მოსკოვის "დინამოსთან".

ბ. ქორქია.
"ლელო", 11 ივნისი, 1977 წ.